სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 სექტემბერი, 2023 წელი

ბრძანება N 01-02/165

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 9 აგვისტოს N01-02/148 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის", „2023–2024 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 თებერვლის N06-01/07 დადგენილების,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის",** ,,ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის **აკადემიური კალენდარის** დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/77 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 9 აგვისტოს N01-02/148 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ბრძანების 4.2. პუნქტი (პირველი წინადადება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,4.2. მისაღები გამოცდა სპეციალობაში (წერითი) - 2023 წლის **15 სექტემბერი** (გამოცდის დაწყების დრო: 12^{00} საათი; ჩატარების ადგილი - ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი - ბსუ-ს N4 კორპუსის მე-3 სართული - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N12);".

   2. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განახლებული განაცხადის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის წარმოდგენა.

   3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს წინამდებარე ბრძანება და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განახლებული განაცხადი განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (რექტორის მოადგილეს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.).

რექტორი, პროფესორი *მერაბ ხალვაში*